მარტი 2017
[NO.3]WWW.BDO.GE

საგადასახადო მაცნე

ცვლილება ბრძანებაში:

მიღებული ავანსის დღგ-ით დაბეგვრა
ცვლილება დღგ-ს დეკლარირების ფორმაში

ცვლილება ბრძანებაში

მილებული ავანისის დღგ-ით დაბეგვრა

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 15 თებერვლის N49 ბრძანებით ცვლილება შევიდა „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის N996 ბრძანებაში. ცვლილება ეხება მიღებული ავანსების დღგ-ით დაბეგვრას. კერძოდ, ჩაიწერა, რომ გადახდილი თანხა ჩაითვლება საკომპენსაციო თანხად და ოპერაცია დაექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას, თუ თანხის მიღების მომენტში დაკმაყოფილდება ყველა ჩამოთვლილი პირობა:

- განსაზღვრულია მისაწოდებელი საქონელი/გასაწევი მომსახურება
- განსაზღვრულია მისაწოდებელი საქონლის/გასაწევი მომსახურების რაოდენობა/მოცულობა
- განსაზღვრულია მისაწოდებელი საქონლის/გასაწევი მომსახურების ღირებულება

განსაზღვრულია მისაწოდებელი საქონელი/გასაწევი მომსახურება წარმოადგენს დღგ-ით დასაბეგრ თუ გათავისუფლებულ მომსახურებას

ამასთან, ცვლილების მიხედვით მიმწოდებელ მხარეს შეუძლია ავანსი ნებაყოფლობით დაბეგროს იმ შემთხვევაში, თუ ჩამოთვლილი ოთხი პირობიდან არცერთი არ კმაყოფილდება, მაგრამ მხარეები შეთანხმდნენ გადახდილი თანხა მიიჩნიონ მომავალში მისაწოდებელი საქონლის ან მომსახურების ავანსად და გამოიწერა ავანსის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

ცვლილების თანახმად მიღებული ავანსის დაბეგვრის შემთხვევა არ ეხება მხოლოდ საქონლის და მომსახურების რეგულარულად და უწყვეტად მიწოდების შემთხვევას, ასეთ შემთხვევებზე გავრცელდება ძველი რეგულაციები ანუ აღნიშნული ოპერაცია დამატებული ღირებულების გადასახადით დაიბეგრება არაუგვიანეს ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლო დღისა.

იმ შემთხვევაში თუ ავანსი მიღებულია ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებული საქონლის მიწოდებისთვის ან მომსახურების გაწევისთვის ოპერაცია არ დაიბეგრება დღგ-ით. ხოლო იმ შემთხვევაში, როცა ერთდროულად უნდა მოხდეს, როგორც დასაბეგრი ისე გათავისუფლებული საქონლის ან მომსახურების მიწოდება, მიღებული ავანსი დაიბეგრება დასაბეგრი საქონლის ან მომსახურების წილის პროპორციულად.

თუ ავანსის მიღება მოხდა 2017 წლის 1 იანვრამდე ხოლო საქონლის ან მომსახურების მიწოდება მოხდება 1 იანვრის შემდგომ პერიოდში ოპერაციის მთლიანი თანხა დაიბეგრება მიწოდების მომენტში.

ცვლილება ძალაში შევიდა 2017 წლის 15 თებერვლიდან.

ცვლილება დღგ-ს დეკლარაციის ფორმაში

ცვლილება შევიდა აგრეთვე დღგ-ის დეკლარაციის ფორმაში საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 15 თებერვლის N49 და 2017 წლის 6 თებერვლის ბრძანებებით. კერძოდ, დაემატა დასაბეგრი და ჩასათვლელი ავანსის გრაფები დეკლარაციის „ა“ დანართის I და III ნაწილებს, აგრეთვე, ანგარიშ-ფაქტურების რეესტრში ჩაემატა სვეტები ავანსის თანხაზე გამოწერილი ანგარიშ-ფაქტურის სერიის, ნომერის და საკომპენსაციო თანხისთვის.

ცვლილება ძალაში შევიდა 2017 წლის 15 თებერვლიდან.

შინაარსი

- მიღებული ავანსის დღგ-ით დაბეგვრა
- ცვლილება დღგ-ს დეკლარაციის ფორმაში

პუბლიკაციის შესახებ

პუბლიკაციაში მოცემულია მნიშვნელოვანი საკანონმდებლო სიახლეები და ცვლილებები საგადასახადო კოდექსში, რომელზეც ყურადღება უნდა გაამახვილოს ბიზნესმა. გთხოვთ, მიმართოთ ბიდიოს პროფესიონალებს პუბლიკაციაში მოცემული საკითხების კონკრეტული სიტუაციებისთვის განსახილველად.

მიხეილ ენუქიძე
menukidze@bdo.ge

▶ წაიკითხეთ მეტი **www.bdo.ge**

ბიდიო

ი. თარხნიშვილის 2
0179 თბილისი, საქართველო
T.: +995 32 254 58 45
T.: +995 32 218 81 88
@ bdo@bdo.ge
www.bdo.ge

ეს პუბლიკაცია მომზადებულია კონკრეტულ თემაზე, მაგრამ ზოგადი დებულებების გამოყენებით, ამიტომ განკუთვნილია მხოლოდ ზოგადი სახელმძღვანელოს სახით გამოყენებისთვის. დაუშვებელია კონკრეტული სიტუაციების მოგვარებისათვის ამ პუბლიკაციის გამოყენება, ან მასში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობა პროფესიული კონსულტაციის გარეშე. გთხოვთ, მიმართოთ ბიდიოს პუბლიკაციაში მოცემული საკითხების კონკრეტული სიტუაციებისთვის განსახილველად. ბიდიო, მისი პარტნიორები და თანამშრომლები არ იღებენ პასუხისმგებლობას ამ პუბლიკაციაზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილებების შედეგებზე.

შპს ბიდიო არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც წარმოადგენს გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული გარანტიით შეზღუდული კომპანიის – "ბიდიო ინტერნეშენალ ლიმიტედის" წევრს და შედის ბიდიოს დამოუკიდებელი ფირმების საერთაშორისო ქსელის შემადგენლობაში.

ბიდიო არის საერთო სავაჭრო სახელი ბიდიოს ქსელისა და მისი თითოეული წევრი ფირმისათვის.